ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №61

ქ. თბილისი 15 მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მირიან ხოსიტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „დიო“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის თამაზ დაუშვილის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ჟალუზების (CPV- 39515430) მიწოდება დანართის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4 893 (ოთხი ათას რვაას ოთხმოცდაცამეტი ლარი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (დღგ-ს ჩათვლით).

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შემსყიდველისათვის შესყიდვის ობიექტის მიწოდება და მონტაჟი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 24 მაისის ჩათვლით.

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი ----------

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქ.N5.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

4.2. პროდუქციის გადაცემა დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

6.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით;

6.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის შემოწმებას, მიღება-ჩაბარებას და შესაბამის საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაზე ხელმოწერას

შემსყიდველი ----------

მიმწოდებელი ----------

ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი – კობა ლომიძე.

უფლებამოსილი პირი_____

7.მხარეთა უფლება– მოვალეობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

– მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 25 ივნისის ჩათვლით.**

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

შემსყიდველი ----------

მიმწოდებელი ----------

9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით.

10. ფორს– მაჟორი

10.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი ----------

პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება;

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით;

12.3. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

12.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას; მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს;

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

შემსყიდველი ----------

მიმწოდებელი ----------

13. ინტერესთა კონფლიქტი

13.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და უფლებამოსილი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი- შემსყიდველს.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს პარლამენტის	შპს „დიო“
ეროვნული ბიბლიოთეკა	ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. 79
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი	ტელ:2 361112; 2 362199
ს/კ 0107, ლადო გუდიაშვილის ქ. №7	
საიდენტიფიკაციო კოდი: 203845018	ს/კ 201946573
სახელმწიფო ხაზინა	სს თიბისი ბანკი
	ბ/კ:TBCBGE22
ანგ. №200122900	ა/ა GE72TB1959136080100001
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	აღმასრულებელი დირექტორი
მირიან ხოსიტაშვილი	თამაზ დაუშვილი

შპს "დიო"; აღმასრულებელი დირექტორი - თამაზ დაუშვილი
საბურთალოს ქ.#55; 0160 თბილისი
ს/კ 201946573
თი ბი სი ბანკი
მფო: TBCBGE22
ანგ. #GE72TB1959136080100001
ტელ: 2361112; 2362199 ფაქსი: 2366899
www.dio.ge Email: info@dio.ge

საქართველოს ბანკი
მფო: BAGAGE22
ანგ. #GE93BG0000000122909000

დამკვეთი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
დამკვეთის ს/კ: 203845018
მისამართი: ქ.თბილისი.გუდიაშვილის 5

თარიღი: 15.05.2018

##	პროდუქციის სახეობა	ფერი	ფართობი (კვ.მ) სულ	ერთ. ფასი დღგ-ს ჩათვლით	თანხა დღგ-ს ჩათვლით
1	ფარდა როლეტი	თეთრი	116,50	42,00	4 893,00

საერთო თანხა დღგ-ს ჩათვლით 4 893,00 ლარი

* შემოთავაზებული ფასი მოიცავს ყველა ხარჯს დაკავშირებულს ტრანსპორტირებასა და მონტაჟთან
* გადახდა ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად
* განფასება ძალაშია 15 დღის განმავლობაში

** შპს "დიო" ფლობს მის სახელზე გაცემულ ხარისხის სერთიფიკატებს - ISO 9001:2015 და "ხარისხის ნიშანი"

ლიკა მოსიძე

შპს "დიო" * GEORGIA * "DIO" LTD * 201946573